

## სატენდერო დოკუმენტაცია

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ს/კ 204542003 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **დაცვის მომსახურების** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- [www.tenders.ge](http://www.tenders.ge) საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

პროდუქტი	ლოკაცია
24 საათიანი ცოცხალი დაცვის მომსახურება	<b>1</b>

### მახასიათებლები

- 24 საათიანი ცოცხალი დაცვა
- მისამართი - ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. # 106
- დასაცავი ობიექტის მახასიათებლები:
  1. სართულების რაოდენობა 2
  2. კვ.მ - 1100
  3. შესასვლელი კარი - 2 ცალი (ორივე დაცულია საშვის სისტემით)
  4. ოფისის აღჭურვილობა - სახანძრო სიგნალიზაცია, კამერები, ტურნიკეტი და დაშვების სისტემა.

### მოთხოვნები

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 3 (სამი) სარეკომენდაციო წერილი კონტრაქტორი კომპანიებისგან
- ცოცხალი დაცვით მომსახურება უნდა გახორციელდეს შესაბამისი გამოცდილებისა და პასუხისმგებლობის მქონე მაღალკალიფიციური თანამშრომლების მიერ.
- სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელების დროს დაცვის თანამშრომელი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ფორმით, კავშირგაბმულობის საშუალებებით
- მცველი ვალდებულია სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირების დროს დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველის“ უფლებამოსილ წარმომადგენელს, ასევე აღნიშნულ პირთა მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.
- მცველი ვალდებულია დაიცვას წესრიგი კომპანიის ოფისში. ვიზიტორთა დაშვება უზრუნველყოს მხოლოდ შემსყიდველის თანამშრომლის თანხმობის შემდეგ.
- მცველი ასევე ვალდებულია დაიცვას წესრიგი კომპანიის ავტოსადგომზე.

### ხელშეკრულების ვადა და ანაზღაურების პირობები

გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება 3 წლის ვადით, ანაზღაურება მომსახურების მიღების შემდგომი თვის დასაწყისში 5 რიცხვამდე.

## სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1-** კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2-** ფასების ცხრილი
  - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
  - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3-** განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; [ltkeshelashvili@ddg.ge](mailto:ltkeshelashvili@ddg.ge)

**შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 28/09/2022 15:00 საათი**

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;
- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;
- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;
- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.
- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;
- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.



**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**